„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.17.12.002.037 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, N01.17.12.002.037 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია გეგმარებით კარკასში (გკ), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებისკონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილსტრუქტურულ ელემენტს, რომელიცყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის ქუჩების გასწვრივ და რომელიც,როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 14 სექტემბრის N01212573748 წერილით, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ვინაიდან, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ფრაგმენტული სახით მომიჯნავე რეგისტრაციებზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, N01.17.12.002.037 ჩრდილოეთით არსებულ რეგისტრაციებზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ხოლო საპროექტო ტერიტორიის (სადაკასტრო კოდი: N01.17.12.002.037) სამხრეთით სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).კერძოდ, ხორციელდება N01.17.12.002.021; N01.17.12.002.001 საკადასტრო ერთეულებზე და დაურეგისტრირებელტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და N01.17.12.002.055 საკადასტრო ერთეულსა და დაურეგისტრირებელი ტერიტორიისნაწილზე სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ცვლილების შემდგომ ფრაგმენტული სახით დარჩენილი ხარვეზის გასწორების მიზნით ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ N01.17.12.002.021; N01.17.12.002.001 და N01.17.12.002.055 საკადასტრო ერთეულებსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ქონების მართვის სააგენტო 2021 წლის 29 სექტემბრის N61-01212721386 წერილით დადებით პოზიციას აფიქსირებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით,ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (სადაკასტრო კოდი: N01.17.12.002.037) და მის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია.

დ) ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა I კვარტალი N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.633) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ღია აუზისთვის დამხმარე შენობის განთავსება. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 15 სექტემბრის N01212582855წერილის მიხედვით, თანახმაა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.633) ნაწილზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ვინაიდან, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ფრაგმენტული სახით მომიჯნავე რეგისტრაციებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, N01.17.14.003.633 საკადასტრო ერთეულის დასავლეთით არსებულ რეგისტრაციაზე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა I კვარტალი N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.633) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.633) ნაწილზე და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ბიჭვინთის 3 ჩიხი N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.082) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. N01.11.04.005.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.11.04.005.082 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 24 სექტემბრის N18-0121267926წერილის მიხედვით, თანახმაა N01.11.04.005.082 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარე არეალზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ბიჭვინთის 3 ჩიხი N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.082) ნაწილზე და მიმდებარედ დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე

გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, პირველი სამგორის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილზე გამოსასვლელი გზის გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.004) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 20 სექტემბრის N16-01212634262 წერილის მიხედვით, შეთანხმდა ქალაქ თბილისში, პირველი სამგორის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილზე გამოსასვლელი გზის გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.004) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვის ტუტით. აღნიშნული ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია არსებული ავტოგასამართი სადგურის ვიზუალური მოწესრიგება. ზემოაღნიშნულია გამომდინარე, ქალაქ თბილისში, პირველი სამგორის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილზე გამოსასვლელი გზის გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.004) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, მიხეილ გლინკას ქუჩა N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.018.007) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა. N01.12.06.018.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ). ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 22 სექტემბრის N01212653712 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.12.06.018.007) განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. ვინაიდან, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ფრაგმენტული სახით საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, N01.12.06.018.007 საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ

თბილისში, მიხეილ გლინკას ქუჩა N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.018.007) ნაწილზე და მიმდებარედ გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.765) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 27 სექტემბრის N01212703661წერილის მიხედვით თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (რზ) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 27 სექტემბრის N0121270400წერილის მიხედვით, ვინაიდან, გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან კავშირს, მისასვლელ გზას საპროექტო ან/და მიმდებარე მიწის ნაკვეთებისათვის მიზანშეწონილია აღნიშნული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სკოლის მშენებლობა. ევროკომისიის ინიციატივით და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, 2018 წელს საქართველოში დაარსდა ევროკავშირის ფარგლებს გარეთ პირველი რეგიონალური მნიშვნელობის მქონე „აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა“. აღნიშნული სკოლის დაფუძნება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის დოკუმენტში (Eastern Partnership – 20 Deliverables for 2020) მოცემული 20 მიზნიდან ერთ-ერთია. ამასთან, ევროკომისიის მიერ შემუშავებულ ახალ პოლიტიკურ დოკუმენტში, „Eastern Partnership Policy Beyond 2020“, ხაზგასმით არის აღიარებული „საქართველოში ევროპული სკოლის წარმატება და სკოლის შემდგომი განვითარების საჭიროება“. დღეის მდგომარეობით, ევროკავშირისა და სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, დამტკიცდა ევროპული სკოლის პროექტის კონცეფცია, ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის სკოლის კურიკულუმი. სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ასევე შემუშავდა სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტი. ასევე, დამტკიცდა კონცეპტუალური დიზაინი, რომელიც საფუძლად დაედება თბილისში სკოლისთვის ლისის ტბის მიმდებარედ გამოყოფილ ტერიტორიაზე სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობას. სკოლა სრული დატვირთვით ფუნქციონირებას დაიწყებს 2023 წლის შემოდგომიდან. სკოლის ინფრასტრუქტურული კომპლექსის, დადგენილ ვადებში აშენება საქართველოს მთავრობის ვალდებულებაა. ზემოაღნიშნულიდან გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.765) და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონის (რზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეც-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.34.491) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიას ემიჯნება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) მიზანშეწონილია ზონის ცვლილება განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 22 სექტემბრის N01212653636წერილის მიხედვით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. N72.13.34.491 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1). N72.13.34.491 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთსა და სულხან საბა ორბელიანის ქუჩას შორის არსებულ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. კერძოდ, ფაქტობრივად არსებულ გზაზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ხოლო მის წინ არსებულ რეგისტრაციაზე, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და გადაფარვა ხდება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ხარვეზის გასწორებისა და ფაქტობრივად არსებული გზის კორექტირების მიზნით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ-რუკაში ხარვეზის გასწორების მიზნით ასევე ხორციელდება სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) ცვლილება N72.13.34.491 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედაც. ზემოაღნიშნულისა და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.34.491) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკის შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღება;

კ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, რატევიანის შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.09.003.013) და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) დაზუსტება. N01.12.09.003.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ჩამოყალიბებულ გარემო განაშენიანებას, რომელშიც იკვეთება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით ჩამოყალიბებული კვარტალი. ზემოაღნიშნულ ტერიტორიას ასევე ესაზღვრება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ტერიტორიის ლოგიკური გეგმარებითი ხასიათის დადასტურების მიზნით ხორციელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) ქვეზონის მინიჭება-კერძოდ, ტერიტორიის ლოგიკური არეალი ზუსტდება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5).
სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით საკითხის დაზუსტების მიზნით მითითებული ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

ა) ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N93-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.049) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N93-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (N01.18.09.006.018 - ის მიმდებარედ) პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 4 ოქტომბრის N01212772939 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოადგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N93-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.049) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N25ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.018.028) საზღვრებში მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 სექტემბრის N01212723551 წერილის მიხედვით დაინტერესებაში მყოფ მონაკვეთს ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკადასტრო ერთეულის საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილებას უარი ეთქვას.

გ) ქალაქ თბილისში, დიდ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.003.381) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საკუთრებაში არსებული N01.10.07.003.381 რეგისტრაციის განკარგვას. შესაბამისად მოთხოვნილია მიწის ნაკვეთისთვის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) მინიჭება. ვინაიდან N01.10.07.003.381 რეგისტრაციის მიმდებარედ გავრცელებული სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) წარმოადგენს გარემო განაშენიანებისთვის შეუსაბამო ფუნქციურ ზონას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სპეციალური ზონა 2-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.003.381) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.886; 81.02.13.643; 82.02.19.720; 81.02.13.642) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (337 კვ.მ.). საპროექტო არეალის ფართობი ჯამში: 10 870 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.655; N81.02.13.644. N81.02.13.645; N81.02.13.642; N81.02.13.643; N81.02.13.886) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N29 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარევიზიო ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს წარმოადგენს კოჯორიშინდისისმიმდებარედაუნაშენიანებელი ტერიტორიების სამშენებლო ათვისების მიზნითადამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმები (რევიზიის მიზნად განისაზღვროსგანაშენიანების რეგულირების გეგმებით გათვალისწინებული საინჟინრო და სოციალური უზრუნველყოფის მიმართების შეფასება დაგეგმილ და არსებულ განვითარებებთან და შესაბამისი საპროექტო ცვლილებების განხორციელება); იმავე მუხლის ამ მუხლით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების რევიზიას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელიადმინისტრაციული ორგანო. რევიზიის შედეგად დგინდება საკორექციო მოთხოვნები დაგანვითარებისათვის შეუსაბამო ობიექტების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. რევიზიისშედეგების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შესაბამის დასკვნას წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.655; N81.02.13.644. N81.02.13.645; N81.02.13.642; N81.02.13.643; N81.02.13.886) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N29 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცება დასაშვებია. ამავდროულად, ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი რევიზიის მიზნების შესაბამისია, შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების გეგმა ამოღებულ იქნეს სარევიზიოქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ნუსხიდან და შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულნაწილ - რუკაში (დანართი N1). შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკაში (დანართი N1).

№12-03212861-03-13.10.2021;

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტში. კერძოდ, ცვლილების მიზანია 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „პ“ ქვეპუნქტი, რაც გულისხმობს იმას, რომ დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ არეალებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში დასაშვებია ხდება იმ მიწის ნაკვეთების განვითარება, რომლებიც განკარგულია სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ, სასწავლო, სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურული, სახელმწიფო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პირობით.

№12-032128815-03 - 15.10.2021;

ა) ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა N3 და N3ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.037.085 და N01.12.08.037.096) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. N01.12.08.037.085 და N01.12.08.037.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.12.08.037.085 და N01.12.08.037.096 საკადასტრო ერთეულებზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, N01.12.08.037.085 და N01.12.08.037.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების მიმდებარედ ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა N3 და N3ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.037.085 და N01.12.08.037.096) და მიმდებარედ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ოთარ კაპანაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.034) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. მომიჯნავედ არსებული (მოთხოვნილი) საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის შერეულ საცხოვრებელი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. ვინაიდან N01.16.03.058.034 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი ჩამოყალიბებულია ინდ. საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებული ფრაგმენტისგან, მათზე გავრცელებული სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) მიმდებარე განაშენიანებისთვის არარელევანტურია. *სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით საკითხის დაზუსტების მიზნით მითითებული ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.*

გ) ქალაქ თბილისში, ენუქიძის ქუჩა N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.22.004.016) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 29 სექტემბრის N01212721513 წერილის მიხედვით სამსახური თანახმაა მოიხსნას შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენა ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზეც წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით დაგეგმილია ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ენუქიძის ქუჩა N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.22.004.016) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.14.10.001.094) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 15 სექტემბრის N01212582878 წერილის მიხედვით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის ნაწილის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვერცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთზე შესაბამისი ბრძანების საფუძველზე შეთანხმებული იყო არქიტექტურული პროექტი და გაცემული იყო შესაბამისი ნებართვა, ასევე მოქმედი წესის შესაბამისად აღნიშნული შეთანხმებული იყო დენდროპროექტის სახით გარემოს დაცვის სამსახურშიც და მოპოვებული იყო შესაბამისი თანხმობა ხე-ნარგავების მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.14.10.001.094) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლება, ნავთისხევში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.448) ნაწილზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.448) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105

დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს სასაწყობე მეურნეობებისა და საქმიანი ეზოების მოწყობა წარმოადგენს. მიმდებარე არეალი ჩამოყალიბებული და განვითარებულია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ფარგლებში, შესაბამისად მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება არ იქნება ფრაგმენტული ხასიათის და წალაქგეგმარებითი კუთხით ხელს შეუწყობს მიმდებარე არეალის ერთიანი სახით განვითარებას. ვინაიდან, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ N01.19.24.007.448 საკადასტრო ერთეულის დასავლეთით ფრაგმენტული სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხარვეზის გასწორების მიზნით, N01.19.24.007.448 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსიევკას დასახლება, ნავთისხევში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.448) ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და მიმდებარედ სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

№12-032129129-03-18.10.2021;

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და „თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში“ (დანართი №1.11). კერძოდ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით „A“ არეალში. იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ „A“ არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში; გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში არსებული მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი უკვე განვითარებულია, ხოლო დანარჩენი ნაწილის დამოუკიდებლად განვითარება კი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაშვებია. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორია მოიხსნება თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებითი „A“ არეალის რუკიდან.

№12-032017049-03 - 18.06.2020

კომისიამ ხელახლა განიხილა 2020 წლის 30 ივნისის კომისიის სხდომაზე (#66 კომისიის სხდომის ოქმი) გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება. ა) ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.03.011.004) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება; ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 2 ივნისის N01201542632 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სასაფლაოს მოწყობის მიზნით, განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ, სატყეო ზონა შეიცვალოს სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2). საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ ფიქსირდება სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2). არსებული ინფორმაციით მიმდებარედ არსებული სასაფლაოების რესურსი თითქმის ამოწურულია, შესაბამისად საჭიროა ახალი რესურსის გაჩენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, გზის ლოგიკური კავშირის შენარჩუნების მიზნითა და იმისთვის რომ არ მოხდეს ზონის არეალის ფრაგმენტაცია N01.16.03.011.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 27 წინადადება და რუკებზე შესატანი ცვლილება გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.41.057(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011 (ნაწილი)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212712-03 28.09.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში, სამედიცინო ველნეს კურორტ „ბიოლთან“ (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.41.057(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011(ნაწილი)). ჯამში 61 166 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიამოიცავს კერძო საკუთრებაში არსებულ 17 საკადასტრო ერთეულს, ასევე მუნიციპალური და სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილს - ჯამში 61166 მ² ტერიტორიას. განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებში არ შედის ორი მომიჯნავე საკადასტრო ერთეული - N81.02.21.599 (300მ²) და N81.02.21.600 (500მ²), აღნიშნული ნაკვეთები დარჩება განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებს მიღმა და სამშენებლოდ შეუსაბამოდ, თუმცა განაშენიანების რეგულირების გეგმის კონცეფცია შემუშავებულია იმგვარად, რომ სამომავლოდ მათი სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება და ამ ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება. განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს დასავლეთიდან ესაზღვრება კურორტი „ბიოლი“, სამხრეთიდან - არსებული

გრუნტის გზა, აღმოსავლეთიდან - კერძო მიწის ნაკვეთები, ხოლო ჩრდილოეთიდან - ძირითადად სახელმწიფო და მუნიციპალური ტერიტორია. განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს შუაზე ჰყოფს არსებული ხევი - ქ. თბილისის მუნიციპალური საკუთრება, რომელიც მოყოლილია განაშენიანების რეგულირების გეგმის საზღვრებში. განაშენიანების რეგულირების გეგმის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს მიუყვება არსებული გრუნტის გზა, რომელიც უკავშირდება მთავარ მაგისტრალს - იუნკერთა ქუჩას, გზის მოწყობა ასევე შესაძლებელია ჩრდილოაღმოსავლეთ საზღვრის გასწვრივაც - სახელმწიფოს ბალანსზე არსებულ ტერიტორიაზე, ეს გზა შესაძლოა დაუერთდეს კოჯორი-შინდისის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ გზას (არსებულს). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ) და სატყეო ზონა. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელწავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.41.057(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011(ნაწილი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N292 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო ტერიტორია იყოფა 25 მიწის ნაკვეთად, სადაც დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება. ტერიტორია იყოფა საშუალოდ 1000მ² - დან 1800მ² -მდე ფართობის მქონე ნაკვეთებად, ხოლო ხევის ჩრდილო-დასავლეთით ორი დიდი ნაკვეთი რჩება, მათ შორის ერთი - (საკადასტრო კოდი: N81.02.21.515) 7718მ² ნაკვეთია და მასზე ერთი დიდი ვილა განთავსდება დამხმარე შენობა-ნაგებობებით, ხოლო მეორე 5501მ² (საკადასტრო კოდი: N81.02.01.812) ფართობის მქონე ნაკვეთის მესაკუთრეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისა და ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, ასევე სურს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.21.564) ნაწილის, კერძოდ 8292მ² -ის შესყიდვა და შემოერთება N81.02.01.812 ნაკვეთთან, აღნიშნულ ტერიტორიაზეც მხოლოდ ერთი დიდი ვილის დაგეგმარებაა გათვალისწინებული დამხმარე ნაგებობებით. განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში შემავალი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის მიზნების შესაბამისად განვითარების თაობაზე, დადებითი პოზიცია დააფიქსირა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ (15/09/2021 N61-01212583232; 16/09/2021 N61-01212592441; 15/09/2021 N61- 01212583727). წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ტერიტორიაზე არსებული გეგმარების შემზღუდავი ზონირებები, კერძოდ: არსებული მიწისზედა ელ. გადამცემი ხაზის შეზღუდვა (4-4მ), არსებული მიწისქვეშა გაზსადენის შეზღუდვა (4-4მ) და შპს „მედგრუპ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის შეზღუდვა (5-5მ). სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირების გეგმა დამუშავებულია არსებული საინჟინრო კომუნიკაციების შეზღუდვისა და სატყეო ზონის სამშენებლოდ შეზღუდვის გათვალისწინებით, არასამშენებლო არეალში დაშვებულია მხოლოდ ღობის მშენებლობა. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია არსებული ფუნქციური ზონის ცვლილებები, კერძოდ: არსებული ხევის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნაკვეთებზე

სასოფლო-სამეურნეო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ხოლო ნაკვეთებში მოყოლილი სატყეო ზონის მცირე ნაწილის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) (რეალური გამწვანებული არეალის კონტურის მიხედვით). ხევის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე სატყეო ზონის ძირითადი ნაწილის ცვლილება მოხდება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და სატყეო ზონა შენარჩუნებული იქნება არსებული გამწვანების კონტურში. არსებული ხევის არეალში კი, სადაც ძირითადად სატყეო ზონაა, ფუნქციური ზონის ცვლილება დაგეგმილი არ არის. საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 24312 მ²; სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 21485 მ²; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 5497 მ²; სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)- 900 მ²; სატყეო ზონა - 8820 მ². საპროექტო ფუნქციური ზონების კოეფიციენტები: (სზ-1) კ1=0,5; კ2=0,8; კ3=0,4; (რზ-2) კ1=0,2; კ2-; კ3=0,8; (ტზ-1) კ1; კ2; კ3=0,1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა: 15 მ. 3 მიწისზედა სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 31 აგვისტოს N01212432365 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 20 სექტემბრის N01212634042 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმადამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებლისა და სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარებისპრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია დაეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წაგვისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.628; 81.02.21.629; 81.02.21.630; 81.02.21.632; 81.02.21.631; 81.02.01.802; 81.02.21.604; 81.02.21.337; 81.02.21.316; 81.02.21.336; 81.02.21.338; 81.02.21.315; 81.02.94.019; 81.02.21.575 (ნაწილი); 81.02.21.564 (ნაწილი); 81.02.21.428; 81.02.01.894; 81.02.21.515; 81.02.41.057(ნაწილი); 81.02.01.812; 81.02.41.011 (ნაწილი)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03212712-03 28.09.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ -

გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01212042255-67 (N01212242175-67; N01212371504-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

- ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №81.02.21.618) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212797-03 06.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვ. თედიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.618); საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 5 800.0 კვ.მ. საპროექტო არეალი წარმოადგენს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას, თუმცა მიმდებარე არეალი ძირითადად განაშენიანებულია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებით. საპროექტო არეალის ჩრდილოეთით მდებარეობს ეკლესია. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.618) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N367 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადებით იგეგმება ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. საპროექტო არეალი იყოფა 8 ნაკვეთად, აქედან 1 წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნულ არეალზე შემუშავებულია კოჯორი-შინდისის ქალაქთმშენებლობითი პროექტი, რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს. წარმოდგენილი ალბომით გათვალისწინებულია აღნიშნული პროექტი და ხდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი: 5 800 კვ.მ. კ1=0,5 (ჯამური ფართობი 2 900 კვ. მ.) კ2=0,8 (ჯამური ფართობი 4 640 კვ. მ.) კ3=0,4 (ჯამური ფართობი 2 320 კვ. მ.) შენობების რაოდენობა - 7; მაქს. სართულიანობა - 3 (მაქს.- სიმაღლე 15 მ.) სექტორი N1 ფართობი 650 კვ,მ საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 601 კვ.მ კ1=0,5 კ2=0,8 კ3=0,4 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 49 კვ.მ კ3=0,1 სექტორი N2 ფართობი 650 კვ,მ საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 605 კვ.მ კ1=0,5 კ2=0,8 კ3=0,4 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 45 კვ.მ კ3=0,1 სექტორი N3 ფართობი 766 კვ,მ საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 717 კვ.მ კ1=0,5 კ2=0,8 კ3=0,4 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 49 კვ.მ კ3=0,1 სექტორი N4 ფართობი 611 კვ.მ საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 611 კვ.მ კ1=0,5 კ2=0,8 კ3=0,4 სექტორი N5 ფართობი 610 კვ,მ საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 610 კვ.მ კ1=0,5 კ2=0,8 კ3=0,4 სექტორი N6 ფართობი 611 კვ,მ საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 611 კვ.მ კ1=0,5 კ2=0,8 კ3=0,4 სექტორი N7 ფართობი 663 კვ.მ საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 663 კვ.მ კ1=0,5 კ2=0,8 კ3=0,4 სექტორი N8 ფართობი 1238 კვ.მ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 1238 კვ.მ კ3=0,1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 20 სექტემბრის N01212631868 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს

დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N81.02.21.618 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 21 სექტემბრის N01212643549წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.618) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03212797-03 06.10.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01212252302-67 (N012126143-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.23.098; №72.16.23.609; №72.16.23.616; №72.16.23.622; №72.16.23.099; №72.16.23.994) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212795-03 06.10.2021)

ნაკვეთის საერთო ფართობი: 27 259 კვ.მ. აქედან კერძო: 14887 კვ.მ; თვითმმართველი: 12 372 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიასთან ჩრდილოეთის მხრიდან მიდის ასფალტირებული (სარემონტო) გზა, დანარჩენი გზები კი გრუნტისაა; ტერიტორიას ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხევი (სეზონური მცირე მდინარე), სამხრეთიდან და დასავლეთიდან საზღვრავს კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთები და გრუნტის გზა. ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ემიჯნება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, ასევე, არეალის გარშემო გვხვდება არსებული და მშენებარესაცხოვრებელი სახლები; „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადსარეკრეაციო ზონა (რზ); სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1). საპროექტო წინადადებისათვის არსებულ მიწის ნაკვეთებზე იგეგმება სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განთავსება, კერძოდ - 21 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი (A-01 ნაკვეთის მეპატრონესაქვს სურვილი შეიძინოს B-05 ნაკვეთი, რომელიც ამჟამად მუნიციპალიტეტის ბალანსზეა, რის შემდეგაც ნაკვეთები გაერთიანდება; შესაბამისად, ნაკვეთებისჯამური რაოდენობა ტერიტორიაზე იქნება 21), 1 დაგეგმარდება სარეკრეაციო ფუნქციით. შენობების მაქსიმალური სართულიანობა იქნება 3 სართული, არაუმეტეს 12მ. ასევე, საპროექტო არეალის დასავლეთით არსებული გზა ემიჯნება თბილისის საზღვრებს, რომელზეც არ უნდა მოხდეს ზონის, ფუნქციის და პარამეტრების განსაზღვრა. სარეკრეაციო ზონა (რზ) იცვლება სარეკრეაციო ზონა-3-ით (რზ-3), ხოლო გზების ნაწილი განვითარდება სატრანსპორტო ზონა-1-ით (ტზ-1). ტერიტორიის ფართობი: 27 259 კვ.მ. არსებული ფუნქციური ზონირება - ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ); სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა-3 (რზ-3) - 21 791 კვ.მ. (აქედან 19 291 კვ.მ. სამოსახლო, 2500 კვ.მ. სარეკრეაციო) კ1-0,3 კ2-1,0 კ3-0,6 სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) - 5 468 კვ.მ კ1=- - კ2=- - კ3-0,1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 7 სექტემბრის N01212503112 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 21 სექტემბერს N01212642029 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 17 სექტემბერს N61-01212602965 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N72.16.27.043; N72.16.27.167; N72.16.27.180 და N72.16.27.187 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 27 ივლისს N0121208475-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.09.584; N72.16.09.585; N72.16.09.782; N72.16.09.781; N72.16.09.719;

N72.16.27.010; N72.16.27.009; N72.16.09.597; N72.16.09.602; N72.16.09.603; N72.16.09.500; N72.16.27.039; N72.16.27.179; N72.16.27.043-ის ნაწილი; N72.16.27.187; 72.16.27.180-ის ნაწილი; N72.16.27.167-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

15. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.968) მრავალფუნქციური კომპლექსის რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212799-03 06.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქთბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.968); ნაკვეთის ფართობი: 13258. 00 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ნაკვეთების სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სართულიანობა: მიწის ნაკვეთის ფართობი: 13 258 კვ.მ. საერთო ჯამური კ-2 კოეფიციენტი- 3,5. საცხოვრებლის შერეული წილი თითოეული ნაკვეთისთვის არაუმეტეს 75%. საზოგადოებრივ-საქმიანი (კომერციული,საოფისე) ფუნქცია - 25%. ნაკვეთი N1; 5738 კვ.მ - სსზ-2 (2 შენობა - 20 სართული) განაშენიანების კოეფიციენტი:კ-1=0,5; (საპროექტო -2869 კვ.მ) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=4,5 (საპროექტო - 25900.0 კვ.მ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3; (საპროექტო - 1721 კვ.მ). ნაკვეთი N2; (2044 კვ.მ) - ტზ-1: კ-1=0; კ-2=0; კ-3=0,1 ნაკვეთი N3; (2490 კვ.მ) - სსზ-2 (12 სართული) განაშენიანების კოეფიციენტი:კ-1=0,5; (საპროექტო -1245 კვ.მ) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=4,2 (საპროექტო - 10500.0 კვ.მ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3; (საპროექტო - 747 კვ.მ) ნაკვეთი N4; (2986 კვ.მ) - სსზ-2 (12 სართული) განაშენიანების კოეფიციენტი:კ-1=0,5; (საპროექტო -1493 კვ.მ) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=3,5 (საპროექტო - 10500.0 კვ.მ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3; (საპროექტო - 895 კვ.მ) . შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 20 სართული და 12 სართული. არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 სექტემბრის N01212573551წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 19 სექტემბრის N01212582797 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიკომპეტენციის ფარგლებში,

თანახმა №01.19.36.014.968 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.968) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

16. ქალაქ თბილისში, სოფელ თბინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.425; 72.16.23.412; 72.16.23.423; 72.16.23.440; 72.16.23.441; 72.16.23.428; 72.16.23.427; 72.16.23.424) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212845-03 11.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისი, ლისი, სოფელი თბინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN72.16.23.425; 72.16.23.412; 72.16.23.423; 72.16.23.440; 72.16.23.441; 72.16.23.428; 72.16.23.427; 72.16.23.424). ნაკვეთის ფართობი: 5 500 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია გაუნაშენიანებელია და მისი რელიეფი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით დახრილია. მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის, განაშენიანების რეგულირების გეგმების და ჩარჩო გეგმის ფარგლებში. საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა ხორციელდება იოსებ კეჭაყმაძის ქუჩიდან და ავთო ვარაზის I შესახვევიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება მოქმედი ფუნქციური ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) შენარჩუნება და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების ფუნქციით განვითარება, ხოლო გზისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება. საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა იგეგმება 8 (რვა) საკადასტრო ერთეულად, ერთ ერთეულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ერთი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება. საპროექტო წინადადებით გზისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე გათვალისწინებულია ცალმხრივი მოძრაობის მისასვლელი გზის მოწყობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რომელიც უკავშირდება ავთო ვარაზის I შესახვევს და იოსებ კეჭაყმაძის ქუჩას და დაიტვირთება საზოგადოებრივისერვისტუტით. ნაკვეთი A5 – (ს/კ: 72.16.23.423) - ფართობი 1500 კვ.მ თმობს 93 კვ.მ.-ს მომიჯნავე N72.16.23.424 საკადასტრო ერთეულის სასარგებლოდ და შემდგომ იმიჯნება 2 საკადასტრო ერთეულად: A5/1 -730კვ.მ და A5/2 -600კვ.მ. ნაკვეთი A6 - 72.16.23.424 - დაზუსტებული ფართობი შეადგენს 953 კვ.მ-ს. ნაკვეთი A8 – 72.6.23.427 - წარმოადგენს სერვისტუტით დატვირთულ მიწის ნაკვეთს 277კვ.მ-ს, რომელსაც დაემატება გზისთვის დათმობილი 217კვ.მ. და დაზუსტებული ფართობი შეადგენს 494 კვ.მ-ს. შენობის სავარაუდო ტექ-

ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 5 500 კვ.მ. მაქსიმალური სართულიანობა 3 სართული . არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) კ-1= 0.5 კ-2= 0.8კ-3=0.4 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კ-1=- ;კ-2=-;კ-3=0,1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 5 ოქტომბრის N01212783028 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შენიშვნები არგააჩნია და კომპეტენციისფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელისახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის ნოქტომბრის N0121279413 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.425; N72.16.23.412; N72.16.23.423; N72.16.23.440; N72.16.23.441; N72.16.23.428; N72.16.23.427; N72.16.23.424) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

17. ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფ. ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212844-03 11.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფ. ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338; ნაკვეთის ფართობი: 10 000 კვ.მ). საპროექტო არეალი მცირე ქანობიანია, რელიეფის ამაღლება ხდება აღმოსავლეთიდან ჩრდილოდასავლეთით, ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 4 მეტრს. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) განვითარებული ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ალუმინის კარ-ფანჯრის ნაკეთობათა საამქრო. ასევე, ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება სს „თელასის“ კუთვნილი 10 კვ-ის საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). საპროექტო წინადადებით იგეგმება ტერიტორიის მიწის 2 ნაკვეთად დაყოფა, სადაც განთავსდება სავარაუდოდ სამი 10 სართულიანი საცხოვრებელი შენობა, (აღნიშნულში არ არის გათვალისწინებული კიბის უჯრედისა და ლიფტისათვის ამაველი სივრცე). დამატებით

შესამღებელია მოეწყოს მიწისქვეშა სართული, მიწისქვეშა სართულების რაოდენობა დაზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების სტადიაზე. შენობების 90% დაეთმობა საცხოვრებელ ფუნქციას, ხოლო დანარჩენი 10% საოფისე/კომერციულს. აღნიშნულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა5 (სზ-5) არ იცვლება. ცენტრალურ ნაწილში საპროექტოდ გათვალისწინებულია სკვერი სარეკრეაციო ზონა1-ის (რზ-1) რეგლამენტის შესაბამისად. მოწესრიგდება საინჟინრო და საგზაო ინფრასტრუქტურა. ნაკვეთების სავარაუდო ტექნოლოგიური მაჩვენებლები: ტერიტორიის ფართობი: 10 000 კვ.მ. არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა5(სზ-5) -10 000 კვ.მ საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა5(სზ-5) -91 24კვ.მ კ1-0,5 კ2-2.1 კ3-0,3 სარეკრეაციო ზონა1(რზ-1)-876 კვ.მ კ1-0,2 კ2-- კ3-0,8 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 01 ოქტომბრის N0121274821 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შენიშვნები არგააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა №01.72.14.014.338 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 28 სექტემბრის N0121271310 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ამასთან, საავტომობილო მისასვლელი გზის მოწყობა დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე N01.72.14.014.338-ის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ დააფიქსირა დადებითი პოზიცია. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.72.14.014.338) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N26 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადება და ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფ. ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

18. სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.94.582; N81.02.95.253) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212843-03 11.10.2021

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.94.582; N81.02.95.253). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 45 921 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას სატრანსპორტო მისაწვდომობა გააჩნია დ. თავდადებულის I შესახვევიდან, არსებული გრუნტის გზით ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში. აგრეთვე, ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული გრუნტის გზიდან (დ. თავდადებულის II შესახვევი). „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.95.253; N81.02.94.582) და მიმდებარე უფლებდაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N134 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ), ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ) და სატყეო ზონა. ასევე, მცირე ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია სატყეო ზონა და ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და ზონაში დადგენილი შესაბამისი კოეფიციენტებით. საპროექტოდ ასევე გამოყოფილია ორი საკადასტრო ერთეული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) ფუნქციით, სარეკრეაციო სივრცისთვის, სადაც გამწვანების გარდა მოეწყობა მცირე თავშეყრის ადგილები, ღია კინოთეატრი და მცირე სპორტული მოედანი. საპროექტო არეალში ასევე გამოყოფილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაგეგმილი საპროექტო გზებისთვის და ავტოსადგომისთვის. საპროექტო არეალი დაყოფილია 36 მიწის ნაკვეთად, აქედან 31 მიწის ნაკვეთზე, რომელებიც მოქცეულია რზ-3 ფუნქციურ ზონაში. განთავსდება საცხოვრებელი სახლები, რომელთა მაქსიმალურ სართულიანობად განსაზღვრულია 3 სართული სართული, მაქსიმალური სიმაღლე 12 მ. საპროექტოდ გათვალისწინებულია ტერიტორიაზე მოქცეული შპს „თბილისი ენერჯის“ მფლობელობაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენის გადატანა (წარმოდგენილია შესაბამისი თანხმობა და გადატანის პროექტი) და გეგმარებისას გათვალისწინებულია შესაბამისი შეზღუდვები. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით ფიქსირდება მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი, (კერძოდ 110 კვ), რომლის სამშენებლოდ შეზღუდული გასხვისების არეალი (სადენის მაქსიმალური გადახრიდან 6 მეტრი) დაცულია და დამატებით დადგენილია 20 მეტრიანი არეალი, რომლის დაზუსტება შესაძლებელია დეტალური არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე. საპროექტო არეალში მოქცეული დაურეგისტრირებული სივრცის, ფართის უცვლელად კონფიგურაციის ცვლილებით გამოყენების თაობაზე, შესაბამისი დადებითი პოზიცია დააფიქსირა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ (01/09/2021, N61-01212441376). საპროექტო ფუნქციური ზონები და ფართობები: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) – 37 087 კვ.მ სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 2 487კვ.მ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) –

6 347 კვ.მ საპროექტო ფუნქციური ზონების კოეფიციენტები: (რზ-3) კ1=0,3 , კ2 =1.0, კ3=0,6; (რზ-2) კ1=0,1, კ2 =0,1, კ3=0,8; (ტზ-1) კ1, კ2, კ3=0,1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა: 12 მ. 3 სრული სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 01 ოქტომბრის N0121274816 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა NN81.02.05.642; 81.02.06.439; 81.02.96.175; 81.02.96.349; 81.02.97.157; 81.02.99.985; 81.02.05.644; 81.02.94.582; 81.02.96.558; 81.02.96.183; 81.02.93.004; 81.02.93.006; 81.02.93.005; 81.02.93.001; 81.02.95.253 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 30 სექტემბრის N0121273180 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.006; N81.02.96.183; N81.02.96.349; N81.02.96.558; N81.02.99.985; N81.02.05.642; N81.02.05.644; N81.02.97.157; N81.02.06.439; N81.02.93.005; N81.02.93.001; N81.02.96.175; N81.02.93.004; N81.02.94.582; N81.02.95.253) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

19. „ქ. თბილისში, გლდანი ნამალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ. N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032129135-03 18.10.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გ.ჭყონდიდელის ქ. N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.12.12.024.206; 01.12.12.024.209; 01.12.12.024.211; 01.12.12.024.212; 01.12.12.024.213; 01.12.12.024.214; 01.12.12.024.215; 01.12.12.024.216; 01.12.12.024.218; 01.12.12.024.224; 01.12.12.024.260; 01.12.12.024.262; 01.12.12.024.263 - ჯამური ფართობი: 31 011 კვ.მ.) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „ქ. თბილისში, გლდანი-ნამალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ. N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის

შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. „რიგი ობიექტებისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 ოქტომბრის N332 განკარგულებით დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიენიჭა ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩა N22 მისამართზე მდებარე საკადასტრო ერთეულებს: N01.12.12.024.206; N01.12.12.024.207; N01.12.12.024.208; N01.12.12.024.209; N01.12.12.024.210; N01.12.12.024.211; N01.12.12.024.212; N01.12.12.024.213; N01.12.12.024.214; N01.12.12.024.215; N01.12.12.024.216; N01.12.12.024.217; N01.12.12.024.218; N01.12.12.024.219; N01.12.12.024.220; N01.12.12.024.221; N01.12.12.024.222; N01.12.12.024.223 N01.12.12.024.224. „დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას” (ს/კ 405160819) მიერ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N19.1388.1763 განკარგულებით განისაზღვრა კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 105 337 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ჯამური კ-2 კოეფიციენტით კ- 4.9. „ქ. თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ. N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N439 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 23 თებერვლის N5 ოქმით გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე არეალზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი, კერძოდ, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე არეალზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი იზრდება 563 კვ.მ.-ით: 105 337 კვ.მ-დან 105 900 კვ.მ-მდე. „ქ. თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ. N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის N87 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)(სზ-6- 21 664 კვ.მ. ტზ-1-6850 კვ.მ. რზ-2-2497 კვ.მ). ფუნქცია: საცხოვრებელი, კომერციული; ქალაქმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული კორექტირებული გრგ-ს მიხედვით მთლიანი საპროექტო ტერიტორიისთვის: მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 31 011 კვ.მ. კ1- 0.4 კ2- 3,4 კ3- 0.2 მხოლოდ სზ-6-თვის 21 664 კვ.მ. კ1 - 0.6 კ2 - 4,9 კ3 - 0.2 წარმოდგენილი ცვლილებით კ-2 კოეფიციენტის მნიშვნელობაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2019 წლის 18 ოქტომბრის სხდომის N332 ოქმით დადგენილ კ-2=4,9-ს არ სცდება. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ცვლილება ითვალისწინებს მხოლოდ სექტორ N4-ში კ-1 კოეფიციენტის ცვლილებას 0.4-დან 0.5-მდე. სექტორი#1.....(სზ-6) კ1 - 0.6 კ2 - 4.4 კ3 - 0.1 სექტორი#2.....(სზ-6) კ1 - 0.6 კ2 - 4,1 კ3 - 0.1

სექტორი#3.....(სზ-6) კ1 - 0.4 კ2 - 3,8 კ3 - 0.1 სექტორი#4.....(სზ-6) კ1 - 0.5 კ2 - 4.1 კ3 - 0.1
 სექტორი#5.....(სზ-6) კ1 - 0.4 კ2 - 3,7 კ3 - 0.1 სექტორი#6.....(სზ-6) კ1 - 0.6 კ2 - 4,9 კ3 - 0.1
 სექტორი#7.....(სზ-6 ფართობი-4676/ კ1 - 0.6 კ2 - 4,3 კ3 - 0.1 რზ-2 ფართობი-785 კ1 - 0.6 კ2 - კ3 - 0.3
 სექტორი#8.....(სზ-6) კ1 - 0.5 კ2 - 8,2 კ3 - 0.3 სექტორი#9.....(სზ-6) კ1 - 0.7 კ2 - 13,6 კ3 - 0.1
 სექტორი#10.....(სზ-6) კ1 - 0.7 კ2 - 0,7 კ3 - 0,0 სექტორი #11. სზ-6 ფართობი-1005 კ1 - 0.8 კ2 - კ3 -
 რზ-2 ფართობი 468 კ1 - 0,2 კ2 - კ3 - 0,8 სექტორი#12.....(რზ-2) კ1 - 0.2 კ2 - კ3 - 0.8 სექტორი#13. სზ-6
 ფართობი-1419 კ1 - კ2 - კ3 - 0,6 ტზ-1 ფართობი-6145 კ1 - კ2 - კ3 - 0.0 ცვლილების ინტენსივობიდან
 გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე
 უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ
 განხორციელებულა. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული
 პროექტი შეესაბამება დადგენილ ხელშემწყობ ღონისძიებებს. შემოთავაზებულია მცირედი
 ცვლილებები, რომლითაც არ იცვლება დადგენილი განაშენიანება და საპროექტო გადაწყვეტები.
 ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონში,
 ჭყონდიდელის ქ. N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტო კოდი: N01.12.12.024.018)
 საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ”
 ქალაქ თბილისის მერიის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული
 განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

20. ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“-ის (ს/ნ 405432893) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 (ს/კ N01.14.06.008.313) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032129152-03 18.10.2021)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და, ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი

მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“ -ის (ს/ნ 405432893) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 (ს/კ N01.14.06.008.313) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 18 ოქტომბრის N21.1451.1626 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: . მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“ -ის (ს/ნ 405432893) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ. ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 (ს/კ N01.14.06.008.313) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 – 3.5 -დან 4.5 - მდე; ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული მიწის ნაკვეთზე სიმაღლის განმსაზღვრელი და დამატებულ ფართობზე ავტოსადგომების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები; გ) შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“ -მა (ს/ნ 405432893) დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 151 457 (ასორმოცდათერთმეტი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითევი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; დ) შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“ -მა (ს/ნ 405432893) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე ქვეპუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

21. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ (ს/ნ 404473431) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ (ს/კ N01.10.16.004.199) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032129152-03 18.10.2021)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ (ს/ნ 404473431) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ (ს/კ N01.10.16.004.199) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 18 ოქტომბრის N21.1450.1628 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ (ს/ნ 404473431) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ (ს/კ N01.10.16.004.199) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 – 4.1-დან 4.7 - მდე; ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა

მოხდეს საზოგადოებრივ (კომერციული და საოფისე) სივრცეზე ერთი მიწისზედა სართულის დამატებით, სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე; გ) შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ (ს/ნ 404473431) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 257 121 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ოცდაერთი) - აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითევი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიბუციონერი“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; დ) შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ (ს/ნ 404473431) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე ქვეპუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშეწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშეწყობი ღონისძიებების გაუქმებას; ვ) შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ (ს/ნ 404473431) მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშეწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

22. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამოხირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ისანი 1“-ის (ს/ნ 402036658) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილის, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ს/კ N01.17.14.003.706) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032129152-03 18.10.2021)


საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ისანი 1“-ის (ს/ნ 402036658) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილის, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ს/კ N01.17.14.003.706) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 18 ოქტომბრის N21.1449.1629 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ისანი 1“-ის (ს/ნ 402036658) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილის, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ს/კ N01.17.14.003.706) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 – 2.5-დან 3.1 - მდე; ბ) მოხდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების კორექტირება იმგვარად, რომ იგი ითვალისწინებდეს 2 მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლის მშენებლობას; გ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების, სიმაღლის განმსაზღვრელი და დამატებულ ფართობზე ავტოსადგომების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები; დ) შპს „ისანი 1“-მა (ს/ნ 402036658) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 88 944 (ოთხმოცდარვა ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითევი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს

და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; ე) შპს „ისანი 1“-მა (ს/ნ 402036658) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე ქვეპუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განხორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; ვ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე